13/03/2023

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ რელიგიურ მოღვაწეებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კიევ-პეჩერის ლავრის ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით წერილობითი გზავნილებით მიმართა

2023 წლის 11 მარტს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს, რიგ რელიგიურ მოღვაწეებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წერილებით მიმართა, სადაც გაუზიარა ღრმა შეშფოთება უკრაინის მართლმადიდებელ ქრისტიანებზე სახელმწიფოს ზეწოლის მკვეთრი გაძლიერების გამო. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 10 მარტს უკრაინის კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის სამინისტროს ეროვნული ნაკრძალის „კიევ-პეჩერის ლავრის“ ხელმძღვანელობამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმშობლის მიძინების კიევ-პეჩერის ლავრის თემს აცნობა ტაძრებითა და მონასტრის ნაგებობებით სარგებლობით შეთანხმების შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა სავანის ტერიტორიის

დატოვება 29 მარტამდე.

მისმა უწმინდესობამ აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ზეწოლის მთელი რიგი ზომები კიევ-პეჩერის ლავრის სამონასტრო თემზე. მან, კერძოდ, გაიხსენა 2022 წლის ნოემბერში უკრაინის სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული მონასტრის შენობებისა და ბინადართა საცხოვრებელი ადგილების დამამცირებელი ჩხრეკა და იმავე წლის 31 დეკემბერს მონასტერთან ხელშეკრულების გაწყვეტა სავანის ორი უდიდესი ტაძრის გამოყენების თაობაზე. ზეწოლას წარმოადგენს ასევე მრავალთვიანი ცილისმწამებლური საინფორმაციო კამპანია სახელმწიფო მედია და ტელეარხების საშუალებით, აგრეთვე რადიკალი პოლიტიკოსების, რელიგიური და საზოგადო მოღვაწეების ჩართულობით, რომელიც მიმართულია მონასტრის წინააღმდეგ თემისთვის მისი ჩამორთმევის და ძალადობრივი მიტაცების მოწოდებითაც კი.

„კიევ-პეჩერის ლავრა – ეს არის კიევის რუსის პირველი მონასტერი, რომელიც XI საუკუნიდან არსებობს და წარმოადგენს რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების საერთო სულიერ და მონაზვნური ტრადიციების ფუძემდებელს. ეს არის ჩვენი ცივილიზაციისა და ეროვნული კულტურების აკვანი, – იხსენებს პატრიარქი კირილე. – აქ დაიწერა ძველი რუსეთის პირველი ისტორიული ძეგლი –„გასული წლების ზღაპარი”, აქედან იღებს სათავეს ჩვენი ხალხების მწერლობა და ლიტერატურა. მონასტრის ათასწლიანი ისტორიის მანძილზე მას არაერთხელ განუცადა დარბევები, უცხოური დაპყრობები და ქრისტიანთა აშკარა დევნა. მაგრამ მხოლოდ მე-20 საუკუნეში მებრძოლი ათეისტური ხელისუფლების ზეობის პერიოდში იდევნებოდნენ მოანაზვნების კიევ-პეჩერის ლავრის მონასტრიდან“.

ამასთან, როგორც უწმინდესმა მეუფემ აღნიშნა, „მონაზონთა ახალმა თაობებმა კვლავ აღადგინეს სავანე და კოლოსალური შრომა და დიდი სახსრები ჩადეს სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური დახმარების ან საერთოდ მისი არარსებობის პირობებში – იყო ეს სავანის რესტავრაცია თუ მიძინებისა და სატრაპეზოს ამჯერად წართმეული ტაძრების აღდგენა, მაგრამ რაც მთავარია – ეს იყო მასში ძველი სულიერი ტრადიციებისა და სრულფასოვანი სამონასტრო ცხოვრების აღორძინება“.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ხაზი გაუსვა, რომ დღეს კიევ-პეჩერის ლავრა არის საყოველთაო მართლმადიდებლური მნიშვნელობის სიწმინდე, რომლის ტაძრებსაც ათასობით მომლოცველი სტუმრობს. მან აღნიშნა: „ლავრა რჩება ერთ-ერთ უმსხვილეს მართლმადიდებლურ მონასტრად მსოფლიოში, რომელიც აერთიანებს ორასზე მეტ მონაზონსა და მორჩილს. მის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრი, ცხოვრობს ასობით მომავალი მღვდელმსახური – კიევის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა განსაკუთრებული ყურადღება

მიაპყრო იმას, რომ უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებული სახელმწიფო ხელისუფლების წაყენებული ულტიმატუმი კიევ-პეჩერის მონასტრისადმი, „ყურადღებას იქცევს მასში იურიდიული დასაბუთების არარსებობით“. თანაც, „გარკვეული კომისიის მუშაობა მონასტრის ეკონომიკურ საქმიანობაში დარღვევების მოსაძიებლად არ იყო გამჭვირვალე და მისი რეპრესიული მიზანი – ლავრიდან მონაზონთა სრული განდევნა – არ დაუმალავთ ხელისუფლების წარმომადგენლებს და არც საერო ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს“.

„სამწუხაროა ის ფაქტი, რომ როდესაც უკრაინის სახელმწიფო ხელმძღვანელობა აცხადებს თავის ერთგულებას დემოკრატიული ნორმების, განვითარების ევროპული გზის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემისადმი, ეს უფლებები და თავისუფლებები ახლა ყველაზე აშკარად ირღვევა“, – ხაზგასმით აღნიშნა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემა.

მისმა უწმინდესობამ მიმართა რელიგიურ მოღვაწეებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოწოდებით, რომ „ყოველგვარი ძალისხმევა გამოიჩინონ, მონასტრის იძულებითი დახურვის თავიდან ასაცილებლად, რაც გამოიწვევს მილიონობით უკრაინელი მორწმუნის რელიგიური თავისუფლების უფლების დარღვევას, რაც გარანტირებულია უკრაინის კონსტიტუციით, ასევე გაეროს წესდებით და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით; დეკლარაციით რელიგიაზე ან რწმენაზე დაფუძნებული შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და მრავალი სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის აქტით“.

მიმართვები გაეგზავნათ, კერძოდ, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს; რომის პაპ ფრანცისკეს; კოპტური ეკლესიის პატრიარქ ტავადროს II-ს; ანგლიკანური საზოგადოების მეთაურს, კენტერბერის მთავარეპისკოპოს ჯასტინ უელბის; ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს, დოქტორ ჯერი პილეუს; გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერიშს; ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის გენერალური მდივანს ჰელგა მარია შმიდს; ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მარია პეიჩინოვიჩ-ბურიჩს; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს ფოლკერ ტიურკუს; ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორს მატეო მეკაჩს.

mospat.ru